<u>პროექტი</u>

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი
საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 14.12.2018, სარეგისტრაციო კოდი: 010190030.06.001.016054) დაემატოს შემდეგი შინაარსის 228^3 მუხლი:

„**მუხლი 228^3. საქართველოს სახალხო დამცველის არჩევის დროებითი წესი**

1. 2022 წელს საქართველოს სახალხო დამცველის თანამდებობაზე საქართველოს პარლამენტს კანდიდატურები წარედგინება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით დადგენილი წესით.

2. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანების შესაბამისად, წარდგენამდე კანდიდატურები ფასდებიან სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის, პროფესიული და აკადემიური წრეების წარმომადგენლების მიერ, კეთილსინდისიერების, მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის, მაღალი რეპუტაციის, სათანადო პროფესიული ცოდნისა და ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების სფეროში პრაქტიკული გამოცდილების კრიტერიუმების გათვალისწინებით.

3. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით საქართველოს სახალხო დამცველის კანდიდატურების წარდგენის საკითხი შეიძლება მოწესრიგდეს ამ რეგლამენტის 204-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისგან განსხვავებული წესით.“.

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი**